საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

საქართველო, ქალაქი რუსთავი

N 1138
01/10/2019

1138-02-4-201910011604

https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/

რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M3 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებზე ნებართვის მაძიებელთათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ და „ე.თ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N9 დადგენილების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ვ“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების და „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და რუსთავი - თბილისის მარშრუტზე M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისათვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ნიმუშის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) ფორმისა და მისი შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 10 თებერვლის N218 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი რუსთავი - თბილისის მარშრუტზე M3 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებზე ნებართვის მაძიებელთათვის ნებართვის გასაცემად დანართი N1-ში მითითებულ ლოტზე.
2. დამტკიცდეს:

ა) ლოტზე განხორციელებული საქმიანობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო მაჩვენებლების (მონაცემები ავტობუსის შესახებ) ფორმა (დანართი N2);

ბ) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმა (დანართი N3);

გ) კონკურსში მონაწილეობისათვის საბანკო გარანტიის ფორმა (დანართი N4);

დ) საკონკურსო და სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისათვის საბანკო გარანტიის ფორმა (დანართი N5);

ე) კონკურსში გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი (დანართი N6);

3. ნებართვას გასცემს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია.

4. ნებართვის მაძიებელი ვალდებულია კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით წერილობითი განცხადება წარმოადგინოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე დანართი N3 -ის შესაბამისად.

5. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) იურიდიული პირისთვის - სათანადო წესით გაფორმებული პარტნიორთა თანხმობა კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი და წესდების დამოწმებული ასლი, განცხადების წარმომდგენი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო ფიზიკური პირისთვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების ასლები;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ)ცნობა სასამართლოდან იმის თაობაზე, რომ ნებართვის მაძიებლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ ნებართვის მაძიებელს არ აქვს საერთო სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი საგადასახადო დავალიანება;

ვ) დოკუმენტაცია ლოტზე განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკურ/საექსპლუატაციო თვისებების და სხვა მაჩვენებელთა შესახებ, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი ფორმით როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ვერსიით და მასში ასახული უნდა იყოს:

ვ.ა) მგზავრთა გადაყვანის განსახორციელებლად აუცილებელი ავტობუსის კატეგორია, მარკა, მოდელი, რაოდენობა, მგზავრთა სალონის და მასში ასასვლელ - ჩასასვლელი კარის და კარის ღიობის სადგულების რაოდენობა, კარის ღიობის სიგანე და სიმაღლე; თითოეული ავტობუსის გამოშვების წელი და შესაბამისობა სტანდარტებთან: ავტობუსის გამოყენების ეფექტურობის, უსაფრთხოების, მოხერხებულობის და კომფორტულობის დამახასიათებელი თვისებები და პარამეტრები.

ვ.ბ) საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული ავტობუსებით მომსახურების განხორციელების დაწყების გრაფიკი;

ზ) საბანკო გარანტია კონკურსში მონაწილეობისთვის;

თ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ კონკურსის მონაწილე მოქმედებს ნებართვის მაძიებლის სახელით;

6. თუ ნებართვის მფლობელი უცხოური კომპანიაა ან უცხო ქვეყნის მოქალაქეა ამ ბრძანების მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ცნობები ქართულ ენაზე დამოწმებულ თარგმანთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოდან.

7.ამ ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები (განცხადების გარდა) წარმოდგენილ უნდა იყოს დალუქული კონვერტით იმგვარად, რომ დოკუმენტის ნახვა ლუქის დაზიანების გარეშე შეუძლებელი იყოს. კომისია არ მიიღებს დაულუქავი კონვერტით წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მას მაშინვე უკან დაუბრუნებს წარმომდგენს.

8.ნებართვის მაძიებელს, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში ამ ბრძანების მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს თითოეულ ავტობუსზე ცალ-ცალკე.

9.დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოკუმენტაციის მიწოდება საფოსტო გზავნილით. საფოსტო გზავნილის სახით მიღებული განცხადება კომისიის მიერ არ განიხილება და გამომგზავნს უბრუნდება გზავნილზე მითითებულ მისამართზე გაუხსნელად.

10. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადებისა და ამ ბრძანებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღება იწყება **2019 წლის 2 ოქტომბერს 10:00 სთ-დან და მთავრდება 2019 წლის 4 ნოემბერს 17:00 სთ-ზე**, შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი კოსტავას გამზ. N20;

11. კომისია დოკუმენტაციის გახსნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს ნებართვის მაძიებლის განცხადების შესაბამისობას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან და ამ ბრძანების მე-5, მე-7, მე-8, მე-9 პუნქტებთან მიმართებაში და მოქმედებს იმავე კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად.

12. ნებართვის მფლობელი ვალდებულია ამ ბრძანების მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიის მიერ დადგენილ ვადაში მიაწოდოს კომისიას მოთხოვნილი დოკუმენტი ან მიაწოდოს კომისიას მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე მოახდინოს წარდგენილ განცხადებაში ტექნიკური შეცდომების გასწორება.

13. მონაწილეს უფლება აქვს უარი განაცხადოს კონკურსში მონაწილეობაზე, განცხადების მიღებისთვის ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე ნებისმიერ დროს, ასეთ შემთხვევაში მას დაუბრუნდება წარმომადგენელი საბანკო გარანტია კონკურსში მონაწილეობისთვის.

14. ნებართვის მაძიებლის მიერ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე წარდგენილი განცხადებების მიმღებ პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - გოჩა ლორია (საკონტაქტო მონაცემები: რუსთავის მერია, კოსტავას გამზ. N20, II სართული, ოთახი N208, ტელ: (0341) 22 00 97);

15. საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გაიხსნას 2019 წლის 5 ნოემბერს 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი, კოსტავას N20, და ცხადდება ინფორმაცია კონკურსის მონაწილე ნებართვის მაძიებელთა შესახებ.

16. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება არაუგვიანეს 2019 წლის 1 დეკემბრისა.

17. ლოტზე გაიცემა ერთი ნებართვა.

18. ნებართვა გაიცემა ერთჯერადად 10 (ათი) წლის ვადით.

19. ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და რუსთავი - თბილისის მარშრუტზე M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისათვის

კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ნიმუშის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) ფორმისა და მისი შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 10 თებერვლის N218 დადგენილებით დადგენილი სანებართვო პირობები (დანართი N7);

20. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერის მოადგილეს - **ბესიკ ტოგონიძეს.**
21. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
22. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან-ქალაქის N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი ტაბაღუა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია